

მუვიდობიან, უსაფრთხო სასწავლო ფელს ბისურვებით!

თბილისის 106-ე საჯარო სკოლა

ბთხოვთ, წაიკითხოთ ყურადღებით!
ჩვენი პროექტ-განაცხადი

„კოვიდს“ შიგან გამაბრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“

შემთხვევით არ მოუხმეთ რუსთაველს. მართლაც, სკოლის ყველა პედაგოგი და მუშაკი დიდი ღირებულების თენგიზ გულორდავას მეთაურობით შეუპოვრად იბრძვის ყველა პრობლემის გადასაჭრელად, მაღალხარისხიანი შედეგების მისაღწევად, მრისხანე „კოვიდისგან“ თავის დასაცავად.

მკითხველი ალბათ შეამჩნევდა: ამ სკოლის ცხოვრებას ხშირად ვაშუქებთ და მას ყოველთვის პირველ გვერდს ვუთმობთ. რატომ? იმიტომ, რომ ბატონი თენგიზის მოსვლის დღიდან ეს სკოლა ფენიქსით აღორძინდა და დედაქალაქის გარეუბნების სკოლათა შორის პირველობას არავის უთმობს.

სრულად შეივსო. ასმეექვსეში სწავლის მსურველთა რიგი დღემდე არ წყდება, თუმცა, მოსწავლეთა მიღების შესაძლებლობა სკოლას ამოეწურა, რადგან სასწავლო გარემო სრულად აქვს ათვისებული და აღსანიშნავია, რომ სრულად სკოლა კეთილმოწყობილია. ამჟამადც მიმდინარეობს სკოლის სპორტული მოედნის მოსანერგებელი სამუშაოები. წელი ისე არ გავა, რომ მონდომებულმა ხელმძღვანელმა, სკოლის ძალებითა თუ სათანადო ორგანიზაციების ჩართულობით, ხელი არ შეავლოს სკოლას.

სკოლის დირექტორი, ბატონი თენგიზ გულორდავა, თავისი შემართებული გუნდით, ტრადიცი-

მართავს. საჭიროების შემთხვევაში, ვირუსის გავრცელების თავიდან ასარიდებლად, სწავლა-სწავლების პროცესი ე. წ. ჰიბრიდულ რეჟიმზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი კლასი სასწავლო პროცესს, დროებით, საკლასო გარემოდან ონლაინ რეჟიმში აგრძელებს.

კლასის დამრიგებლებს გადაეცათ სკოლის კუთვნილი პერსონალური კომპიუტერები, რათა ტექნიკურად აღჭურვილი იყვნენ ყველა იმ გამოწვევისთვის, რაც სასწავლო პროცესში იჩენს თავს.

ასეთ რთულ ვითარებაში, მასწავლებლები, მართლაც, საოცრებებს სჩადიან. ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ რჩევებს, როგორ გაუმკლავდნენ გამოწვევებს. სკოლის ხელმძღვანელი, ბატონი თენგიზ გულორდავა, მთლიანად ადმინისტრაცია და მალაქვალიფიციური მასწავლებლების გუნდი ერთობლივი ძალისხმევით მუშაობენ იმ ლაბირინთიდან თავის დასაღწევად, რაც თან ახლავს დღევანდელ სასწავლო პროცესს: როგორ უნდა დავგვემოთ და წარვმართოთ ონლაინგაკვეთილები? როგორ ჩავართოთ მოსწავლეები? რატომ არის აქტივობები და დავალებები, რა რესურსები უნდა შევთავაზოთ მათ? როგორ ვიუზიტიროთ მშობლებთან?... — ყველაფერი ამით ეს მოსწავლის კეთილგანწყობაზე ზრუნვით იწყება. მასწავლებლები ბავშვებს ისეთ სასწავლო პროცესს თავაზობენ, რაც მათ სწავლების ხალისს გაუღვივებს. ჩვენ გვჭირდება მეტი სინათლე ბავშვების თვალებში. წელსაც, ტრადიციულად, 7 პირველი კლასი გაიხსნა და თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური (29) რაოდენობაა. ორმაგად სასიხარულოა ეს ფაქტი,



ამ გაუსაძლის პირობებში ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებას პროგრამა მინიშუმის შესრულება უჭირს. აქ კი სასწავლებლები ხდება. ყოველივე ამის შესახებ ამ სკოლის ნიჭიერი პედაგოგისა და ჟურნალისტის წერილიდან შეგიტყობთ.

კოვიდ-19-ის პანდემია უდიდესი გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის. სკოლა, ერთგვარად, პატარა საახელმწიფოა და თუ მას მართავს კეთილგონიერი ხელმძღვანელი ერთგულ გუნდთან ერთად, საზოგადო და საშიში გამოწვევებიც კი მართვადი ხდება. ზურაბ იარაგულის სახელობის თბილისის №106 საჯარო სკოლაზე გიამბობთ. წარმატებული ნაბიჯების შესახებ ყველამ უნდა გაიგოს, რადგან ეს ერთგვარად, კარგ ნიმუშად, მისაბამ მაგალითადაც შეიძლება გამოდგეს დაინტერესებულთათვის.

ულად მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მაქსიმალურად, ნაყოფიერი სასწავლო გარემოს შესაქმნელად ყოველწამიერად ფიზიკობს. რეგულაციების სრული დაცვით, უბადლო სისუფთავით, ხშირი სადეზინფექციო პროცედურებით, გაკვეთილების დაწყებამდე, მოსწავლეთა სკოლაში ორგანიზებულად შემოსვლით, სრული წესრიგის დაცვით, მათი ჯანმრთელობის მდგო-



მარეობის შემონახვით, ვირუსსაშიში, სულ მცირე საფრთხის შემცველი ფაქტის, გამოვლენისთანავე მიღებული ზომების წყალობით, ასმეექვსე საჯარო სკოლას არასდროს შეუწყვეტია ტრადიციული სასწავლო პროცესი. ბატონი თენგიზი, თავისი უბადლო ლიდერული უნარების წყალობით, პანდემიურ ვითარებაშიც წარმატებით ართმევს თავს სკოლის

რადგან რაც უფრო მეტი კლასი იხსნება, მით მეტ კვალიფიციურ კადრს ეძლევა დასაქმების შესაძლებლობა. ასმეექვსეს უძლიერეს გუნდს, წელსაც შემოუერთდა 5 პედაგოგი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ყველა ეტაპი.

გავრძელება მე-2 გვ.

ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო და მშობლებო!

ას წელს მიახლოებული მასწავლებელთა გაზეთი „სახალხო განათლება“ გთავაზობთ ახალი სასწავლო წლის სამოქმედო პროგრამას. გავაშუქებთ სასწავლო-აღმზრდელი საქმიანობის ყველაზე პრიორიტეტულ თემატიკას, რომელიც განაპირობებს მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი შედეგების მიღწევას, მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებისთვის მომზადებას.

ვრცლად აისახება: მონივნავე მეთოდური გამოცდილება; პედაგოგთა მატერიალურ-მორალური სტიმულირებისათვის მთავრობის ზრუნვა; შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობების ღონისძიებანი: კონკურსები, ტურები, ოლიმპიადები, ექსკურსიები, შეხვედრები; დიდი ადგილი დაეთმობა მოზარდთა მხატვრული ნიჭის გამოვლენა-ხელშეწყობას, ასევე პედაგოგთა მხატვრულ ნაწარმოებებს (პოეზია, პროზა, ფერწერა).

გვაქვს რუბრიკები: „ეს წიგნი, სახელმძღვანელო პედაგოგმა დაწერა, ან დისერტაცია დაიცვა“; „სანიშნუ-ში კლასის ხელმძღვანელი“; „იუბილარი სკოლა, პედაგოგი“; „წლის საუკეთესო დირექტორი“; „მენტორი ან ნამყვანი პედაგოგი“; „ამაგდარის გაცილება და სხვა.“

გაზეთის მტავარი მიზანია პედაგოგის გმირული შრომის დანახვა-დაფასება, მისი ავტორიტეტის ამაღლება. სკოლის დირექტორებო, პედაგოგებო, გთხოვთ თანადგომას, აქტიურ თანამშრომლობას, ზემოთჩამოთვლილი თემატიკის გაშუქებაში ხელშეწყობას!

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია

დაფასება ამაგ-ლჰანლისა

სიკეთის დანახვა-დაფასება ღვთისური მადლია, უმდურობა კი – ცოდვა. რედაქციაში მადლობის წერილები შემოდის. ერთ-ერთმა მშობელმა აღმზრდელის მიმართ მადლიერების გრძნობა პოეტური სტრიქონებით გამოხატა, რომლის ადრესატია დამსახურებული პედაგოგი, თბილისის 115-ე ბავაზბალის დირექტორი მერი ქარელაშვილი.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ამაგდარ ქალბატონს, გასული საუკუნიდან ამაყად გაისმის მისი სახელი პედაგოგიურ სივრცეში. იგი სკოლამდელი აღზრდის სფეროში ღირსეული წევრია ისეთი გამოჩენილი მოღვაწეებისა, როგორც იყვნენ და არიან – ნელი კეპულაძე, მაყვალა ჩუბინიძე, თინა მაისურაძე, მარინე სამსონიძე, მზია მეტრეველი, ქეთევან დვალისვილი, ლია აფაქიძე, ლალი ნოზაძე, იზა კვანტიძე, ლალი ოთარაშვილი...



ეს ავანსად იყოს, თუ თანახმა იქნება ქალბატონი მერი, მზად ვართ, მის მოღვაწეობას ვრცელი წერილი მივუძღვნათ.

რედაქტორი

მერი ქარელაშვილის
ფაქიზი, ბრძენი, შრომისმოყვარე, კეთილი, უფლის მმოსავი ქალი...
სიყვარულისთვის დაბადებული, გაუხუნარი გრძნობებით მთვრალი. ჩვილთა აღმზრდელი, პირმოთნე სული, რომ დააჩნია ცხოვრებას კვალი, სათნობით კრეფს მარგალიტ სიტყვებს, ცდილობს, არ ჰქონდეს არავის ვალი. ცეროდენების მესაიდუმლე, ნამომართული დამცავი ხმალი, გონიერ წვრთნათა დიდი ოსტატი, ამ საუკუნის არს მორეკონსტრუქციონერი...
დედობრივ სიტკბოს უხვად რომ გაცემს, ბავშვებისათვის ნანატრი თვალი, – უღრუბლო ზეცის შთამომავალი, გაზაფხულებად პირმომცინარი, – ანკარა, როგორც მტის ბროლი, წყალი, ქალბატონი ხარ გამონათალი.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სიყვარულთან ბამარჯვებაც არის



ამ ცხოვრებისეულ სიბრძნეს პრაქტიკულად ფრთა შეესხა სახელოვან მე-9 საჯარო სკოლაში. დირექტორმა მარინე გიგაურმა, მოადგილე ელენორა ფერაძემ, გამოცდილმა პედაგოგებმა, ყველა მუშაკმა სკოლისა, ამ უმძიმეს ვითარებაში, საქმის მიმართ საოცარი მონდომება - სიყვარული გამოავლინეს. ამ რთულ პირობებში თითქმის ძნელი წარმატებებზე, სიახლეებზე საუბარი, მაგრამ, საბედნიეროდ, მიღწევები მაინც სახეზეა. სკოლიდან მოწოდებული მასალების მიხედვით:

ახალი სასწავლო წელი პანდემიიდან გამომდინარე, რეგულაციების მკაცრი დაცვით წელსაც საქართველოს შიშის ფონზე მოკრძალებულად დავიწყეთ. ყველა დანაყოფითი კლასის დამრიგებლებმა მოსწავლეებს

დაახვედრეს ლამაზად მორთული საკლასო ოთახები, რამაც მოსწავლეების და მათი მშობლების აღფრთოვანება მოჰყვა. მივიღეთ 3 პირველი კლასი. კონკურსის წესით ავიყვანეთ 1 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი. სასწავლო კათედრებს უძღვებიან: ქართული ენა-ლიტერატურის - ელენა ბერიანიძე, მათემატიკის - მარინე ჩერტყომვილი, დანაყოფითების - ციციკო ვაზაგაშვილი, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას - თინათინ

შიშნიაშვილი-მაზანიშვილი, უცხოური ენებისას - ნატო ჯაფარიძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ანა მაისურაძე, ეთიკის კათედრას - დიანა დალაქიშვილი, სპორტისა - ნინო ჭავჭავაძე. წამყვანი მასწავლებლები არიან: თამარ მაისურაძე, ელენორა ფერაძე, ნინო წილოსანი, ხათუნა ჯორბენაძე, ლანა ფარქოსაძე, ლიანა აფციაური, ნათია ჩანდიევი, ლიზი ხაჩიძე. მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა



ჩვენი სკოლის ნიჭიერმა მოსწავლეებმა დიდი შრომით შეძლეს დამსახურებული ოქროსა და ვერცხლის მედალების აღება. ასახელეს სკოლა და ყველა პედაგოგი ოქროს მედალოსნებმა: ეკა ბრეგვაძემ, ანა ბიძინაშვილმა, მარიამ კაველაშვილმა, მედეა ანსიანმა, ვახტანგ ჯავახიშვილმა, დავით კვიციანი, მარიამ მელაძემ, ანა ნიკლაურმა, ლუკა მირზიაშვილმა, ლიზი ჭელიძემ. ვერცხლის მედალოსნებმა: თორნიკე ჩიტაშვილმა, გვანცა მარტყოფლიშვილმა, ნინო დოლიძემ.

სამასწავლებლოს, დირექტორის მოადგილისა და დირექტორის კაბინეტების გარემონტება და შესაბამისი ინვენტარით განახლება.

საახალწლოდ როგორც ყოველ სასწავლო წელს დაგეგმილია მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების წახალისება ფულადი წახალისებით, პრემიებით, სიგელებით და სხვა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, არ უყვართ თავის ქება, ხმაურიანი აჟიოტაჟი. ჩუმად, ფუტკრის სიბეჯითით შრომა ურჩევნიათ სახარისებო შრომის სიბრძნის ძალით: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“.

გამარჯვებულს, მხნეობას, კორონავირუსის დაძლევაში მოგვიწოდო სიხარული გისურვებთ, მე-9 სკოლელეობ!

პორის კინდელი



„კოვიდს“ შიშან ბამაბრება ისა, უნდა, ვით ძვირთქირსა“

1-ლი გვერდიდან

ბატონი თენგიზი მუდამ გამოირჩეოდა და გამოირჩევა თავისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით ახალბედა, მაძიებლის სტატუსის მქონე პედაგოგებისადმი და შესაძლებლობას აძლევს მათ გამოავლინონ საკუთარი ცოდნა, უნარები და დაინყონ პროფესიით მუშაობა. ყოველდღე აიმაღლონ პროფესიონალიზმი და მაღალკვალიფიციურ კადრად იქცნენ.

პანდემიის მიუხედავად, სკოლა კვლავაც ახერხებს სასწავლო პროცესი იყოს მაქსიმალურად ნაყოფიერი და მრავალფეროვანი.

სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და წინა წლის განმავლობაში, ტრენინგებსა და აქტივობებში უწყვეტად ჩართულობამ, საგრძნობლად აამაღლა მასწავლებელთა კვალიფიკაცია. წელს ყველა კლასში, საგანთა ინტეგრირებით დაგეგმილია და უკვე ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის წარმართვას და მოსწავლეებში საკითხების სიღრმისეულად, კომპლექსურად გააზრებას. გარდა ამისა, ამ ტიპის საქმიანობის კიდევ ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ მასწავლებლები უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობელთან, კოლეგებთან და ადმინისტრაციასთან, ეს ყველაფერი კი ჩვენს სკოლაში ქმნის კომფორტულ გარემოს სწავლა-სწავლების პროცესის მონაწილეთათვის.

სკოლის ეზოში გახსნილ წარჩინებული მოსწავლეების სახელობის 15 ვარსკვლავს, წელსაც შეემატა კიდევ 9 საამაყო მოსწავლის სახელზე გახსნილი ვარსკვლავი. ბატონი თენგიზის მიერ ტრადიციულად ქცეული ეს მამოტივირებელი იდეა, მართლაც ამართლებს.

სკოლა ამავსებ 2020-2021 სასწავლო წლის ოქროს და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებით. ოქროს მედალის მფლობელები გახდნენ: ლუკა გაბლიშვილი, მარიამ ბატიაშვილი, სოფიო ჩიხლაძე, მარიამ პაპავა, ლაშა ალიევი, ეკატერინე ნოზაძე, ვერცხლის კი: გიორგი ცისკარიშვილი, სალომე უბილავა, ნინო კუტუბიძე.

ასმეექვსეში, ტრადიციულად ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთაგანაც აღსანიშნავია „ბრძოლა გარემოსდაცვით გამოწვევებთან“. აღნიშნული პროექტი სასკოლო კურიკულუმის ნაწილიც გახდა და სკოლის ყველა კლასის მასში ჩართული. პროექტის ფარგლებში ხორციელდება მნიშვნელოვანი აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. აქვე მოვიშველიებთ განათლების სფეროში მოღვაწე ფსიქოლოგისა და „აღმოჩენითი სწავლების“ ფუძემდებლის ჯერომ ბრუნერის

სიტყვებს: „ჩვენ ხელი უნდა შევუშალოთ სკოლებში მოსწავლეების მოწყვნილობას. მე მწამს ისეთი სკოლის, რომელიც ასწავლის ბავშვს არა მარტო იმას, რაც ვიცით სამყაროს შესახებ, არამედ მის შესაძლებლობებზე ფიქრსაც“.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის შემდეგ, გასაკვირი არც არის ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ასმეექვსე საჯარო სკოლამ საგანმანათლებლო პორტალ „იზრუნე.გე“-ში მოსწავლეთა უპრეცედენტო, წარმატებული ჩათულობისა და მაღალი აკადემიური შედეგების გამო მიიღო საქართველოს „სუპერ სკოლის“ ტიტული. სკოლის ხელმძღვანელს და თითოეულ მასწავლებელს გადაეცათ სამახსოვრო დიპლომები.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ როგორი ერთ მუშტად შეკრული გუნდია მთლიანად ასმეექვსე სკოლა, დანაყოფიერი ძლიერი ხელმძღვანელით, ერთგული ადმინისტრაციით, მშრომელი მასწავლებლებით, მონდომებული მოსწავლეებით, გვერდშიმდგომი მშობლებით, დამთავრებული იმ პერსონალით, რომლებიც ამ პანდემიურ ვითარებაში, ასე გულმოდგინედ ზრუნავენ სკოლის სისუფთავისა და უსაფრთხოებაზე.

ინა მეცხვარიშვილი,
II კლასის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი,

ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოგვრჩა, ჩვენი სკოლის წარმატებაზე და აქვე გიზიარებთ: ასმეექვსე სკოლამ მონაწილეობა მიიღო კონკურსში, „ურბანული ბიომრავალფეროვნებისთვის მეგობრული სკვერების მოდელის შექმნა“ და თბილისის მასშტაბით საკეთესო ხუთეულში საპატიო ადგილი დაიკავა.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა (GEF SGP), რომელსაც საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

სკოლის მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებმა მოისმინეს სალექციო კურსი, რომელიც მათ დაეხმარათ უკეთ გაეგოთ ურბანული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და გაეაზრებინათ ეკომეგობრული სკვერების არსებობის აუცილებლობა ურბანულ გარემოში.

გუნდური მუშაობა, პრეზენტაციების ოცენა აღნიშნულ საკითხებზე და თავიანთი თვალთახედვის წარმოჩენა, თუ როგორ ესახებათ ჩვენი სკოლის ეზოში ურბანული ბიომრავალფეროვნების ზონის - ეკო-მეგობრული სკვერის მოდელის შექმნა - ამ საინტერესო აქტივობაში სკოლის მოსწავლეები მოტივირებულად მონაწილეობენ.

თინათინ გულორდავა

P.S. რედაქტორის მინაწერი: ღვანლს, სიკეთეს დაფასება უნდა. - უმადურობა-არდანახვა კი დიდი ცოდვაა, - გვასწავლის ბიბლია. ეს შეგონება ბატონ თენგიზ გულორდავას ღვანლ-ამაგის დაუფასებლობის გამო გავიხსენეთ. დაიხ, ქვეყნის წინაშე თუ არა მეტი, არანაკლებ დამსახურებულია იგი, როგორც იყვნენ და არიან დიდი დირექტორები და პედაგოგები: გრიგოლ კობახიძე, დავით გონდაური, ლევან ჩიქვანია, ოთარ თეთვაძე, მიხეილ მინდაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, დემურ კალანდაძე...

ბატონმა თენგიზმა მოაძლიერა მე-5 საჯარო სკოლა, ფენიქსივით ააღორძინა გლადანულას 59-ე სკოლა (საკუთარი მანქანით ეზიდებოდა სარემონტო მასალას, რიგითი მუშასავით ფიზიკურად მონაწილეობდა მშენებლობაში), ხოლო აქ რას აკეთებს, ამ წერილშია ნათქვამი.

ადრე ასეთ მოღვაწეზე დანესებული იყო „სახალხო“ და „დამსახურებული“ მასწავლებლის, სულ ახლო წარსულში კი - „წლის საუკეთესო დირექტორის“, „ათი ვარსკვლავის მფლობელის“ ნოდებები.

მე, როგორც რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და ჟურნალისტი, ვთხოვ განათლების სამინისტროს, მთავრობას, დაუბრუნდნენ უსამართლოდ გაუქმებულ ამ ძვირფას ტრადიციებს.

რა ხდება სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“?

მათ უკვე ბევრჯერ გპიჩვენეს საქმენი საბმირონია



მეოთხე კლასელმა მარიამ ჩილაძემ ოლიმპიადზე მოიპოვა ოქროს მედალი ქართულ, ხოლო ვერცხლის - ინგლისურ ენაში. ჩატარდა პროექტი „გამოჩენილი ქართველი მეფეები და გმირები“.

დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებითი წერას კათედრის თავმჯდომარე დარეჯან ცხომარის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული სტრატეგიების მრავალჯერადი გამოყენება მოსწავლეებს გაუმარტივებს საკითხის შესწავლას, განუვითარებ

ტარდათ ლექცია სახელწოდებით „სასწავლო პროექტი ფიზიკაში“.

მასწავლებელ ანი ჭანტურას მოსწავლეებმა თავი გამოიჩინეს საჭადრაკო ონლაინ ტურნირში.

VI-VII კლასელები პედაგოგების დარეჯან ცხომარისა და სათუნა გრძელიძის ხელმძღვანელობით, დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ ორგანიზებულ კონკურსს „ყველაზე წიგნიერი გუნდი“.

გაიმართა ვებინარი კვანტურ კომპიუტინგში.



ზოგიერთ სკოლას ამ უმძიმეს ვითარებაში პროგრამა მინიმუმის შესრულებაც უჭირს. ლიცეუმელები კი სასწავლებს ახდენენ. პანდემია შარშანაც იყო და წელსაც არის, ჯერ-ჯერობით დაუმარცხებელია. ამიტომ და ამდენად გასული სასწავლო წლის შედეგებზეც გვექნება საუბარი და მომავლის ამოცანებზეც, ამას კი ლიცეუმ „ცოდნაში“ გამოგზავნილი ბრწყინვალე ინფორმაციის მიხედვით ვინწყებთ.



ახალ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდით. სამი პირველი კლასი მივიღეთ. გამობრძმედილი დირექტორი გვყავს - **ნაზი ნადირაძე**. შემოქმედებითი მოადგილეები არიან: **ნინო მელქაძე** და **ხარისხის მართვის** მენეჯერი


რებს ტექსტის მხატვრული თავისებურებების აღქმის უნარსა და შემოქმედებით აზროვნებას. მოსწავლეებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს ფიზიკაში, (კათედრის თავმჯდომარე **ბელა თოდუა**).

შეხვედრა შედგა ინგლისურ ენაზე. მონაწილეობდნენ მე-11 კლასელები: **მარიამ სიჭინავა, თორნიკე კალმახელიძე, ლევან ცოფურაშვილი, დავით სალაძე**.

თემაზე: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ მასწავლებლები: **ქმანია, გ. ბაჩალიაშვილი და მჭანტურია** პედაგოგებმა **ნია დათუკიშვილი, სალომე ქვეციშვილი, თამარ ოქრიაშვილი, ირინა დოლიძე** მხიარული, პროექტ „ქართული ფესვების“ ფორმატში მიმდინარე წლის ოქტომბერში სკოლას ეწვია სტამბოლის შოთა რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი **სოფიო ბარამიძე**. სკოლას სტუმრობდა დელეგაცია სტამბოლიდან: ბეიქოზის ქართული ენის ცენტრის წამომადგენელი **მერი დიასამიძე**, შოთა რუსთაველის საზოგადოების

„მნიგნობარის“ მიერ ინიცირებულ მხატვრული კითხვის ლიტერატურულ კონკურსში. სპორტს, ჯანსაღ ცხოვრების წესს დიდი ყურადღება ექცევა. ჩატარდა შეჯიბრი ფეხბურთსა და კალათბურთში. სკოლა მადლობას უხდის მონაწილე მოსწავლეებსა და სპორტის მასწავლებლებს.

ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მიზმიდგელი დაგეგმილი ღონისძიება ინტელექტუალური კლუბის-რა?სად?როდის? ჩამოყალიბებაა, რაც არა მხოლოდ სკოლის, არამედ მოსწავლეთა ინტერესებიდანაც გამომდინარეობს, მათი უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების



ნაყოფიერად მუშაობს ისტორიის კათედრა პედაგოგ **ქეთევან მანია**ს ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანია, უცხო ენის კათედრის მუშაობა (თავმჯდომარე **თათია ლაბაძე**).

X კლასის მოსწავლეებმა წარმატებით ჩაატარეს ონლაინ კონფერენცია თემაზე: „ქართლის ცხოვრების ისტორიო-გრაფიული პერიპეტიები“.



- **რუსუდან ფარეხელაშვილი**, რომელიც ნამყვანი პედაგოგია. სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ხელმძღვანელი **ციალა ცაბაძე**, ქართული ენა და ლიტერატურა - **დარეჯან ცხომარია**, უცხო ენების - **ირინა დოლიძე**. საზ.მეცნიერებების - **ქეთევან მანია**, ეთიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა - **თინათინ კოპალიანი**. დანწყობითი კლასების - **სალომე ქვეციშვილი**.

განსაკუთრებით ეფექტიანი იყო დანწყობით კლასელთა ჩართვა - აქტივობები მხატვრული ლიტერატურის და

მოსწავლეებს გადაეცათ Microsoft-ის სერტიფიკატები. ჩატარდა VII კლასში — კლასის საათი თემაზე: „ო, ენავ

თავმჯდომარე **ორჰან ბერიძე**, სტამბოლის ქართული ენის ცენტრის დამფუძნებელი **ემრეფ ილმაზი (გოდერძი მახარაძე)**.

განვითარებს ხელს უწყობს. ამასთან ვგეგმავთ ახალი სპორტის სახეობების დამატებას და ფართო მასშტაბებზე გასვლას. ვინაიდან გვეჯერა, რომ ჩვენი მოსწავლეები წარმატებას მიიღწევენ არა მხოლოდ ინტელექტით, არამედ ფიზიკური მზაობითაც. ყველა ღონისძიებას დეტალურად ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ რაც წარმოვადგინეთ, ისიც დირექციისა და პედაგოგთა გმირული შრომის ნათელ პანორამას გვიხატავს.

მოკლედ გასული სასწავლო წლის შედეგებზე მოსწავლეები საქველმოქმედო პროექტ „თეთრ ტბაში“ დაჯილდოვდნენ **პეტრე სიჭინავა, საბა ავყოფაშვილი, ალექსანდრე ჩაველიძე**.

„კინგის“ ოლიმპიადაში გამარჯვებულნი არიან: **ელენე გიორგაძე, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, ელენე ჩაფიჩაძე, დანიელ ბოჭორაძე**.



ფერწერის დარგებში. მოსწავლეები შეხვდნენ მწერალს, ჟურნალისტს, ესეისტს - **რატი მუჯირის**.

VII კლასის მოსწავლეები მასწავლებელ **ბელა თოდუას** ხელმძღვანელობით შეხვდნენ დედა უნივერსიტეტის ლექტორს — **ნუგზარ მოსულიშვილს**. ჩაუ-

ჩემო..“ (**სათუნა გრძელიძე**), VIII კლასი — პრეზენტაცია თემაზე: ხელნაწერების კვლადაკვალ (**ნინო მელქაძე**) IX-X კლასი — დღის ისტორია — 1978 წლის 14 აპრილი (**ლია ბაზაძე**), XI კლასი — თავისუფალი წერა — „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს..“ (**დარეჯან ცხომარია**).

ოქტომბერში 1ა, 1ბ და 1გ კლასებში „**ანზანი შებრაძანდა**“. შემოქმედებითი უნარების წარმოჩენის მიზნით სკოლის მოსწავლეები-ნიკოლოზ და **ლაზარე პაპაშვილები** (მეოთხე და მეშვიდე კლასები), **ალექსანდრე ნემსიწვერიძე, ანანო მეგრელაძე** (მესამე კლასი) მონაწილეობენ საგანმანათლებლო ორგანიზაცია

გვეჯერა, გვეჯერა კი არა, ასი პროცენტით დარწმუნებული ვართ, ყველა ზემოთქმული დაპირება პირნათლად შესრულდება.

ახალი წელი შორს არ არის. ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდ წარმატებებს, წყეული „კოვიდის“ დამარცხებას გისურვებთ ლიცეუმელებო!

ბორის მიშველაძე



ჩატარდა ონლაინ საღამო თურქეთის რესპუბლიკაში ფონდის უფლებამოსილი წარმომადგენლების - **მერი დიასამიძისა და სოფო ბოლქვაძის** ორგანიზებით, რომელსაც ეწვეოდა ფონდის - „დიასპორების ალიანსის საქართველოსთვის“ წარმომადგენელი თურქეთში კალიგრაფი, **სელამი გუმუში**.

გაიმართა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასკოლო კონფერენცია VIII, IX, X კლასებში.



103-ე სკოლა მონინავე არის და იქნება



მთავრობის დადგენილების თანახმად, მცირე კონტინგენტებიანი სკოლების ოპტიმიზაციის საფუძველზე, 2010 წელს ქალაქ თბილისის 110-ე საჯარო სკოლა შეუერთდა 103-ე საჯარო სკოლას, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი არჩილ ჩხაიძე. სკოლა ორსექტორიანია (ქართულ-სომხური), ორივე სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები მალევე შეეთვისენ ურთიერთს.

2018 სასწავლო წლის 8 დეკემბერს საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრ „ჭაიარტუნში“, რამდენიმე სკოლის წარმომადგენლობით, გაიმართა თამაში: „რა? სად? როდის?“ თავი გამოიჩინეს ჩვენი სკოლის მე-IX კლასის მოსწავლეებმა: დიანა სარქიანი (კაპიტანი), რაზმიკ გურგენიანი, სუსანა ტარახიანი, ირინა მატოსიანი და ალა ბაგდასარიანი. სექტორის VIII-X კლასების მოსწავლეები ჩაერთვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ თეატრალურ კონკურსში „ჩემი პირველი ქართული როლი“. სცენარი და რეჟისურა ეკუთვნის ქართული, როგორც მეორე ენის პედაგოგ დალი ფეჩიშვილს, მხატვრულად გააფორმა სკოლასთან არსებული ხელოვნების წრის ხელმძღვანელმა გვანცა მეტრეველმა, სპექტაკლის დადგამაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა და სკოლის

ადმინისტრაციამ. ამის საფუძველზე მოსწავლეები 10 დღით ისვენებდნენ ეკო-ბანაკ „ანაკლიაში“ მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. სკოლას ესტუმრა სომხეთის ტელევიზია, გადაცემა – „აპრემენ შაერე“. მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს სომხეთის რესპუბლიკის საელჩოსთან, სტუმრობენ სკოლაში გამართულ ღონისძიებებს. სომხეთის ელჩმა ბატონმა რუბენ სადიანმა საჩუქრად გადმოგვცა ვიდეორეკტორი. სკოლაში ფუნქციონირებს სომხური ეროვნული ცეკვის ანსამბლი „ანი“ ანგელინა ნაზარაიანის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმატებით მონაწილეობს ღონისძიებებში. სექტორში მუშაობენ სერტ-იფიცირებული პედაგოგები, ისინი ჩართულნი არიან ახალი სკოლის მოდელში. სომხური ენის ორი პედაგოგი დაჯილდოვდა ოქროს მედლებით, მინიჭებული აქვთ „მშობლიური ენის ელჩი“ სტატუსი. 21 ოქტომბერს საქართველოში იმყოფებოდა სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი არტურ მარტიროსიანი, ხელმძღვანელობით. დელეგაცია, ვიზიტის ფარგლებში, სტუმრად ეწვია 103-ე საჯარო სკოლას. სახელდობრ, სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დიასპორის უფროსი ბატონი კარენ მნაცაკანიანი, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი არტაკ პოლოსიანი, განათლებისა და ინოვაციების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი არტაშეს თოროსიანი, განვითარებისა და ინოვაციების ეროვნულ ცენტრთან არსებული ორგანიზაციის „სასკოლო კვებისა და ბავშვთა კეთილდღეობის“ დირექტორი ქალბატონი სათენიკ მკრტიანი, საელჩოს მრჩეველი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის



საკითხებში ქალბატონი ანა სააკიანი. ვიზიტის მიზანი იყო სკოლის სომხური სექტორის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან შეხვედრა, მათი საქმიანობის გაცნობა. სტუმრებს უმასპინძლეს სკოლის დირექტორმა ბატონმა არჩილ ჩხაიძემ, დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა ასმიკ პაპიკიანი. შეხვედრაში მონაწილეობდა სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ბატონი კახა ხანდოლიძე, ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი ქალბატონი ეკატერინე ხუციშვილი და ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ქალბატონი მეგი როსტიაშვილი-ნიკლაური.

ასმიკ პაპიკიანი, 103-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

36-ე საჯარო სკოლაში

როცა საქმის კეთებას მონდობებას არ აკლებენ



ქართველ გმირებზე „სადრეგრძელოში“ გრიგოლ ორბელიანი წერდა: „შავთა დროთ ვერა შეცვალეს მის გული ანდამატისა.“ პოეტის სიტყვები ზუსტად მიესადაგება 36-ე სკოლის პედაგოგებს, დირექციას, ყველა მუშაკს, რომელთა საქმიანობა აგერ უკვე ორი წელი გახდა, გმირობის ტოლფასია. დისტანციური სწავლება იქნება, თუ ბუნებრივი, კარგად უძღვებიან. ამ სკოლის მიმართ, რომელსაც ცნობილი დირექტორის, „კამო სიმონგულაშვილის სკოლას“ ეძახიან, კეთილგანწყობით ვარ გამსჭვალული, ხშირად ვაშუქებდი აქაურთა ცხოვრებას! ქეთევან მელიქიშვილი პატივისცემით მხედობოდა და აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთან. დღეს მოქმედი დირექტორი მაია კვინიკაძე კი ჩემი ორმაგი კოლეგაა, როგორც გამოცდილი პედაგოგი და ნიჭიერი ფურნალისტი. თეორიულ მსჯელობას კონკრეტულად ყოველთვის სჯობს. შევეცდები მოკლედ გესაუბროთ პრიორიტეტულ მოვლენებზე, გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე.

მაცით: ახალმა რეალობამ ბევრი პრობლემა წარმოქმნა, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობებიც გააჩნია. მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს დროში, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების, მათში: ახალმა რეალობამ ბევრი პრობლემა წარმოქმნა, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით შესაძლებლობებიც გააჩნია. მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს დროში, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების, რომელთა ხელმძღვანელები არიან ენერგიული, გამობრძმედილი ნუნუ კაკულია და სოფიო ასლამაზიშვილი.

ტექნოლოგიების ათვისება. სამინისტრომ დასწრებული სწავლებისთვის სრულად მოგვამარაგა დეზობარიერებით, პირბადეებით, სადეზინფექციო ხსნარით. სკოლამ შეიძინა 2000 ლარის ღირებულების სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები. სისტემატურად მიმდინარეობს კლასების სველი წესით დამუშავება, მერხების დეზინფექცია. ბავშვების სკოლაში შესვლამდე ხდება მათი თერმოსკრინინგი. გაიხსნა ორი პირველი კლასი, რომელთა ხელმძღვანელები არიან ენერგიული, გამობრძმედილი ნუნუ კაკულია და სოფიო ასლამაზიშვილი.



ვილი. სკოლაში მივიღეთ იტალიური ენის ახალი პედაგოგი ნინო ელოშვილი. დარწმუნებული ვართ, იგი გამართლებს ჩვენს იმედებს. დირექტორი მაია კვინიკაძე, მისი მოადგილე ქეთევან მელიქიშვილი შემოქმედებითად უძლებიან პედაგოგიკურს, მთელ სასწავლო პროცესს. ჩვენი სკოლის წამყვანი პედაგოგები: მაია კვინიკაძე; ლეილა ნიკოლეიშვილი; მაია ჩხაიძე; მაკა კობიაშვილი; თამარი მამულაშვილი გამოცდილი პროფესიონალები არიან. მათემატიკის ენაზე თუ ვიტყვით სასწავლო კათედრების კარგი მუშაობა პირდაპირ პროპორციულია წარმატებისა. საგნობრივ კატედრებს გამოცდილი ხელმძღვანელები ჰყავს. ქართული ენისა და ლიტერატურისა - მზია ჩიტიშვილი, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა - მაკა კობიაშვილი, უცხოური ენებისა - ირინე კვიციანი, დანყებითი კლასებისა - დალი ცქვიტიშვილი, მათემატიკის და ტექნოლოგიებისა - ლელა ლომაძე, საბუნებისმეტყველო საგნებისა - ლეილა ნიკოლეიშვილი, სპორტის

და ესთეტიური აღზრდისა - ნანა ნიკლაური. გასულ სასწავლო წელს პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო ბევრი ღონისძიება ვერ განვახორციელეთ მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობის კუთხით. წელს კი მეტი საინტერესო პროექტის შესრულებას ვგეგმავთ. მეორე კლასი ჩაერთო ხელნაკეთი ნივთების დამზადების პროექტში. მათ დეკემბრის ბოლოს ექნებათ გამოფენა-პრეზენტაცია. კიდევ სიახლეა ისიც, რომ შემოვიტანეთ ახალი მესამე უცხო ენა იტალიური. ვაპირებთ იტალიის საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღებას. წინასწარ ტრაბახი აუგია. ნათქვამია, ვერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახეთ. ვეცდებით „საქმემან ჩვენმა გამოგვაჩინოს“.

ბორის ხარეზაძე

სკოლიდან მიღებული ინფორ-

მუდამ სიასლავების ძიებაში



განვადრებით მოწინავე ბაგა-ბაღების საქმიანობის გაშუქებას და მოგითხოვს სასწრაფო-აღმზრდელობით მუშაობაზე, ასევე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამჯერად წარმოგიდგინეთ თბილისის 45-ე ბაგა-ბაღს, რომელიც სანიმუშოა და სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. პანდემიის პირობებშიც კი, 45-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ სიასლავები დანერგონ, აღსაზრდელების გულები გაახარონ. აქ დისციპლინა და უნარ-ჩვევების განვითარება მაღალ დონეზეა, რაც ბაღის დირექტორის, შესანიშნავი მენეჯერის **ნია კვანციის** და შემოქმედებითი ჯგუფის

უდიდესი დამსახურებაა. კოვიდ ვირუსის პირობებში ერთმანეთზე ზრუნვით, რეგულაციების დაცვით, ვაქცინაციისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, დავამარცხებთ პანდემიას და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით. აღნიშნულ ბაგა-ბაღში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი 4 ოქტომბერს დაიწყო. თავდაპირველად კი, კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით, ჩატარდა სადღეობის სტანდარტით გათვალისწინებული სამუშაოები. ჯგუფები უზრუნველყოფილია სპეციალური საშუალებებით, რომლითაც ახორციელებენ იატაკების, მაგიდის ზედაპირების და ზოგადად ყველა იმ საგნის დამუშავებას, რომელთანაც შემხებლობა აქვთ ბავშვებს. პერსონალი ყველა ჰიგიენური წესისა და ნორმის დაცვით უზრუნველყოფს სადღეობის დროს ღონისძიების გატარებას. ჩვეულებისამებრ მიმდინარეობს პერსონალის და აღსაზრდელების ყოველდღიური თერმოსკრინინგი, შემოსასვლელებში განთავსებულია დეზობარიერები, დისპენსერები ანტისეპტიკური საშუალებებით, საიზოლაციო და მოსაცდელი სივრცეები, რომელიც ყველა პირობას აკმაყოფილებს.

აცილების მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა **ლალი ბერიამ** აღნიშნა, რომ რეგულაციებს მკაცრად იცავენ. დასაბამია ის ფაქტი, რომ სახლიდან დაავადებული ბავშვის მოყვანა აფერხებს სააღმზრდელო პროცესს, რასაც ხშირად მოჰყვება მშობელთა გულსწყნობა. სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი სწორად არ აფასებს არსებულ სიტუაციას და ჰგონია, რომ ხე-



ლოვნურად ხდება ბაღის დახურვა, მაგრამ ძალიან ბევრ მშობელს კარგად ესმის, რომ ბაგა-ბაღები მოქმედებენ 2020 წლის 14 სექტემბრის მთავრობის N 577-ე დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს კორონა ვირუსის შემთხვევასთან შეხების შემდეგ 12 დღის განმავლობაში იზოლაციას.

საგულისხმოა, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დიდი მხარდაჭერა და საინტერესო სურათით თანამშრომლობა უკონკრეტული დაწესებულებების მიმართ. სწორედ ბატონი **კახა-**

ბერ გვანცელაძის დამსახურებაა, რომ წელს, უკვე მეორედ საერთაშორისო კომპანია SAIGLOBAL-ის მიერ აუდიტორიული შემოწმების შედეგად, სააგენტოს მენეჯმენტის ხარისხი კვლავ გახდა ISO 9001:2015 - ით უმაღლესი ხარისხის მფლობელი. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია უკეთესი განვითარებისათვის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თბილისის მერიის ინიციატივით აღსაზრდელები, ბაღების დაკეტვის შემთხვევაში კი, მათთვის განკუთვნილ საკვებს პროდუქტის სახით იღებენ.

დირექტორის მოადგილემ **რუსუდან კობაშვილმა** კმაყოფილებით აღნიშნა ბაღის თითოეული თანამშრომლის თავდაუზოგავი საქმიანობა და ხაზი გაუსვა აღმზრდელების პროფესიონალიზმს. ესენია: **ეკა გელიაშვილი, ანა ჯანაშვილი, მაია ვაშაყმაძე, ნანი ნახუცრიშვილი, იამზე კვანციძე, მანანა ციციძე, ქეთინო მესხორაძე, მანანა ქველაძე, მაკა გიორგაძე და ნინო ფანქველაშვილი.** მათი თანამშემწეები არიან: **ლია ფოცხვერაშვილი, მაია ყანჩაველი, დალი მათიაშვილი, მაია ბურდული, ლია ბაკურაძე, ლია ალანია, ნანა ჩხაიძე, შორენა გეგუჩაძე, ცისანა მელქაძე და ნათია ნიკოლაური.**

ბაღში სულ 11 ჯგუფია და 465 აღსაზრდელი. მათ შორის 12 გ.ს.მ. ბავშვია, რომელსაც ესმარება საკმაოდ ძლიერი მულტიდისციპლინური გუნდი. ფსიქოლოგი: **ლალი ნახარაშვილი, ლოგოპედი: მაია შიხიაშვილი, სპეც. პედაგოგები: მარიამ ჯარმელიშვილი, ნათია ფუხაშ-**



ვილი, ნანული აბუთიძე, ლელა ნადირაძე.

აი, ეს გახლავთ თბილისის 45-ე ბაგა-ბაღის შესანიშნავი კოლექტივი, რომელთა დამსახურებით აღნიშნული საბავშვო დაწესებულება მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული, დღემდე მოთხოვნადია და პოპულარობას ინარჩუნებს.

ზონა გოგოძა



საგულისხმოა, რომ ბაღის თანამშრომლებს ორ კვირაში ერთხელ უტარდებათ სავალდებულო ტესტირება, კოვიდ-ინფექციის გავრცელების თავიდან

27-ე ბაგა-ბაღის ბებები

პატარებს სიხარულს ჩუქნიან



ბავშვებისთვის შემოქმედებითი უნარების განვითარება და მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა 27-ე ბაგა-ბაღის მთავარი პრიორიტეტი. აქ ეზოც მონესრიგებულია, შენობაც გარემონტებული და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი. პატარების ჯანმრ-

თელობას და ჰიგიენას უდიდესი ყურადღება ექცევა. საბავშვო დაწესებულებას ხელმძღვანელობს კარგი მენეჯერი **თონა ჯინჭარაძე** და ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. პანდემიის პირობებშიც კი, 27-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლები მუდმივად ცდილობენ სიასლავები დანერგონ და აღსაზრდელების გულები გაახარონ. წარმატებით სორციელდება „სასკოლო მზაობის“ პროგრამა და თემატური საგანმანათლებლო სავარჯიშოები. დაგეგმილია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების ჩატარება.

თონა ჯინჭარაძე: განახლებულ სასწავლო წელს, ბაგა-ბაღში აღსაზრდელები მივიღეთ დანებებული რეგულაციების შესაბამისად, ბავშვსაც და მშობლებს უტარდებათ თერმოსკრინინგი,

ბაღი აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. შენობაში შემოდიან მხოლოდ ბავშვები, ხოლო მათ მშობლებს და სხვა უცხო პირებს ვიზიტი ეკრძალებათ. ჩვენთან, ყველა ასაკობრივ ჯგუფს, განსაზღვრული აქვს ბაღში მიღების თავისი დრო და შენობაში



შემოსასვლელი. ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარდაჭერით, პატარებს შესანიშნავი გარემო შეუქმნით, შევიძინეთ ყველა საჭირო ინვენტარი და სადღეობისთვის საშუალებები.

27-ე ბაგა-ბაღში ამჟამად, ფუნქციონირებს 13 სააღმზრდელო ჯგუფი, საკმაოდ დიდი საბავშვო დაწესებულებაა, სადაც დაცულია ყველა სანიტარულ-ჰიგიენური წესი და კეთილსაიმედო გარემოა შექმნილი.

დირექტორი კმაყოფილია თანამშრომლების აქტიური საქმიანობით და დადებითად აფასებს მათ ფასდაუდებელ შრომას. მენეჯერის დავალებებს პირნათლად ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები: **რუსუდან თოთიაური** და **ნათია**

ჯინჭარაძე. პატარებს მზრუნველობას არ აკლებენ და შემოქმედებით უნარებს უფითარებენ პროფესიონალი აღმზრდელები: **რინა ჯავახიშვილი, მათია ჭაფოძე, მაია სარიშვილი, ხატია სიჭინავა და იამზე მუმლაძე,** როგორც ყოველთვის მათ მხარში უდგანან თანამშემწეები: **ლია ნემსაძე (2-3წლ.) თამარ ტულუში (5-6წლ.)** და სხვ. აქ ყველა თანამშრომელი დიდი რულუნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. მეგობრული, სასიამოვნო ატმოსფერო სუფევს და შესაბამისად, პატარებისთვის შექმნილია ლამაზი და მყუდრო გარემო, რაც მშობლების აღტაცებასა და მოწონებას იმსახურებს.

იმედია, მომავალში პანდემია დასრულდება, ბაღი დაუბრუნდება ტრადიციულ-ბუნებრივ მუშაობის



რეჟიმს, კვლავ გაიმართება სეზონური ღონისძიებები და აღსაზრდელებს უფრო საიმედო გარემოში მოუწევთ ცხოვრება.

ზონა გოგოძა



პარტიული მარში (გროტესკი)

ჩვენ თქვენს რეჟიმს გადავურჩით და მოვდივართ ყველა ქუჩით, რომ დაძვრებით ფაჩიფურით, ჩაგირჩქვავთ ჩაჩს ჩაქურით.

ჩვენ მოვდივართ ზღვით და ბეკით, ძალით, ღონით, მეხთაჭეკით, ან ფეხბქვეშ გაგვიწეკით, ანდა გზიდან ჩამოდექით.

რომ გვაფურთხებთ ლაშით, დრუნით, რომ გვაგინებთ მყრალ პირ-ტურით, თქვენ დაწყებული მხდალით, ურჩით ჩამოგვიდებთ ყველას ჩურჩით.

სულ ერთია თოვს თუ ცხება, ჩვენი რისხვა არ დაცხრება, არ გიშველით მირონცხება, არ აგცდებათ დამარცხება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რასაც ვშვებით, არა და არ გაუჩერდებით, სისხლს, ნგრევას არ შევშვებით, ვივლით ასე – გამარჯვებით.

ჯავრისა

ერთ დროს ბიჭებში განთქმული, არ დაგიდევდით არავის და როგორც მასზე დართული არც პატივისცემა მქონდა,

ყველას უტიფრად ვუბღვერდი ცხვირ-პირზე ტალახნასმული, სულ ერთი იყო ქარები საიდან საით ქროდა.

სული ნეტარი ამევსო ბოღმით, ჭვარტლით და მურით, აღარ მიყვარდა არავინ და არც სურვილი მქონდა,

თორმეტი წელი ვიარე გაშავებული გულით, სულ ერთი იყო ქარები საიდან საით ქროდა.

ნიადაგ ქარში ვიდექი და ვერა ვგრძნობდი ქროლვას, თან სულყველაფერს ვიტანდი, რასაც აიტანს თარსი.

მე ერთნაირად ვხედებოდი წვიმის ცრასა და გლოვას, წვიმას ხომ ცრემლის გემო აქვს, ცხოვრებას – ჩალის ფასი.

ჰოდა... სულ ერთი იყო ქარები საიდან საით ქროდა.


ლექსი რუსის ჭიშისა

რა ქვეყანაა რუსეთი? სადმე კიდია ასეთი? ცოლ-ქმარი უერთმანეთი, ქალი ღირს ერთი მანეთი.

„დერჟავასა“ და შიდა მყოფთ ცოდვა არ აგცდათ არც ერთი, უარყოფ მობას უარყოფთ, რა ჯიშისა ხართ ასეთი?

რუსეთს არ ენდო არა წამს, გაიგე, არის მზაკვარი, ნუთუ განცდილის არა გწამს? არ აიროო გზა-კვალი.

მისგან არარა არ გინდა, თუნდაც თაფლი და შაქარი, მისი სკამი და მაგიდა... ამათ მოჰყვება ლაშქარი.



ბურამ ხანდამიშვილი

ჭირს წაულია სუყველა, მათი ხსენებაც მოისპო: „დაჟე“ ქალები ყელყელა, მოსკოვი, კრემლი, „ვოისკო“.

შენი ღირსება ანდე ღირსს, განსაჯონ თვალე-ყურებმა, ერთ შაურადაც არა ღირს კვლავ რუსეთისკენ ყურება.

რუსი ვერაგი რატოა? სხვას მისგან, აბა, რას ელი? ხომ ხედავ, აღარ დატოვა კაცი კედელზე მიმფსმელი.

მთავარი ისევ არის დღეს, არ გაიმრუდო სავალი, „ჩვენ ჩვენი თავი გვეყუდნეს!“ ესაა გამოსავალი.

გულის ნადები

ეს სოფელი მართლაც დიდზე დიდია, უსახსრობა თუ ფეხებზე გვიდია, ვინც ცხოვრების ავიც, კარგიც იქია, ბოლოს ისიც ამ ავ-კარგით იძლია.

ის, ვინც გუშინ გამოუშვეს ციხიდან, ადრეც ბევრჯერ გამოძვრალა ჩიხიდან; თუ ლურსმანი ამოაძრო ჩლიქიდან, არაფერი რჩება ჩირთი-ფირთიდან.

მეც ვიყავი კარგ დროების მხილველი, მეც ვიგემე სიყვარული პირველი, გაფრენილა ჩემი ლალი ფრინველი, არც ესაა ახლა გასაკვირველი.

დუმს სიმღერა, სიჩუმეა და თუკი, გამომშრალა იეთიმ გურჯის დუდუკი, ყავლგასულად ჩაუთვლიათ ზურნა და ისიც ჩაკვდა, ვინც ამათზე ზრუნავდა.

მეც დამჩაგრეს, აღარ მიდგას ფლავი და ამ ლოდინში საუკუნე გავიდა, რომც ვეცადო, ვერ დავინყებ თავიდან, რადგან იქით უკვე ყველა წავიდა.

ღმერთო, გმადლობ, ისევ აქ რომ დამტოვე, ვხედავ, მწყალობ, თუმც არა ვარ მარტო მე, სხვებს მიხედე, თავიცა მძულს მედროვე, ისიც კმარა, რაც აქამდე მადროვე.

მამ, აქ ვრჩები, აღარ მკითხოთ, სადა ხარ? თხოვთ, მხოლოდ-ღა განმიკითხოთ ხანდახან, თუ გსურთ, თუნდაც, კაცობაში დამცადეთ, ისევ თქვენთვის, ცოტა კიდევ მაცადეთ.

არ მანუხებს ქონება, არც ვალები, კარგა ხნის წინ მოვისტუმრე ქალებიც, დღიდან დღემდე ვივლი ასე წვალებით, არ იჯავროთ ჩემი გარდაცვალებით.

ღვთი ღვ

შევაბერი ზვრებს და ყანებს, ვაზს გადაკიდებული, საქართველო მენატრება გამრჯე და დიდებული;

ჰო, ვერასგზით ვერ ვეღვეი ამ ზვრებსა და ამ ყანებს, დავდივარ და ჭკუას ვეძებ, დუნია კი ყაყანებს;

ყველა ყველას ატყუებს, ყველა ყველას ატყავებს და ვერაფრით მივაგენი, ვინც სიმართლეს ამყარებს;

შინაურს თუ გარეულს ველარავინ ასხვავებს, შევცქერ ცნობაარეული ამ ყვავებს და ამ სვავებს;

მას, ვინც ახლა დედის ნაცვლად დედინაცვალს გვაყვარებს, აბა, როგორ უნდა ავყვეთ ამ სვავებს და ამ ყვავებს;

ერთი ყვავიც როცა ჩხავის, მთელ მიდამოს აყვავებს, თან ჰგონია იმ ჩხავილით მინდვრებს, მთა-ბარს აყვავებს;

აქვს თუ არა რამის თავი, ისიც ბიზნესს აჩაღებს, ვერც ვერავინ მოსთხოვს პასუხს უთოფ-უხმოლო ყაჩაღებს;

პანდემიას გადავყარეთ, მაინც დაძვრით გარე-გარეთ, მაშინ პოლიტმადლიც ჰქენით, შესანყნარი შეინყალეთ!

შემოგვიჩნდა ზოგიც უცხო, რეცეპტები გამოგვიცხო, ხან ცოტათი მოგვეფერა, ხან ყასიდად სხვებსაც მისცხო.

ვინც იქა თუ აქ წრიალებს, პატრონად რომ დავგვტრიალებს, ზოგი ფრთხილად გვეკიდება, ზოგიც თვალებს გვიბრიალებს.

ისე როგორ შეგვიყვარეთ, ყველა აქ რომ შეიყარეთ, ერთმანეთში წილი ჰყარეთ, თვლებში ჯოხიც შეგვიყარეთ.

თქვენ მოგმართავთ, ვისაც ძალგიდთ, ქვეყანა რომ შეგვიყარეთ, მოდით, კეთილ ინებეთ და, თუნდ ნატოში შეგვიყვანეთ...

--- * ---

ჩემდა თავად, მწყრალად ვრჩები ნუთისოფლის თამამთან, ღმერთო, შენთან წამიყვანე, აღარ მინდა ამათთან.

უპირველეს ყოვლისა

გლახი ამბობს დროდადრო: თუ არ იქნა მოსავალი, არ იქნება არაფრით არა, ხალხის მომავალი; ექიმს უთქვამს: მთავარია ჯანმრთელობა კაცისა; ეკოლოგს კი – მოვლა გემარტებს ამ ბარის და ამ მთისა; სტატისტიკოსს – ციფრებზეა აგებული ქვეყანა, კარგია, რომ ყველაფერი რიცხვში გადაგვეყვანა; მასწავლებელს – სუყველაფრის სანყისია ალფაბეტი, ჩუქურთმისმჭრელს – ყველაფერზე მთავარია ტრაფარეტი. ასეთ რამის გამგონე გადირია ინჟინერი: ტრაფარეტზე მთავარია ქვა-რკინა-ხე თუნდაც ღერი; მომღერალმა, მეჩონგურემ შეაჯერეს ერი, ბერი: ყველაფერზე მთავარია სულიერი ნანამღერი; მღვდელმა – ლოცვის გარეშე არაფერი გამოვია, უამისოდ, იცოდეთ, რომ სეტყვა, კოხი წამოვია. სტუდენტს უთქვამს: მთავარია დაგროვება ცოდნისა, მართლმორწმუნეს – მთავარია არიდება ცოდვისა; სინოპტიკოსს – მთავარია ცვლა მზისა და თოვლისა, პოეტმა თქვა: პოეზია უპირველეს ყოვლისა!

ჯერ არ თქმული, ყოველი

სოლოლაკში, მთაწმინდასთანპოეზმანი ცხოვრობდა, დილით გვიან იღვიძებდა, სირჩა არყით თებობდა, შუადღემდე ლექსებს თხზავდა, ცუდს არაფერს შერებოდა, საღამოთი ძმაკაცებში ზოგჯერ ცოტაც თვრებოდა.

ის, ვინც ქუცას უთვალთვალებს, კიტელს ხმარობს მაუდის, ამ კაცს, ასე ამბობენ, ყველაფერი გაუდის; მთაწმინდასთან, გზის ნაპირას ნავაგს დაახვავებენ დღეს ტიცინანს მიახვრეტენ, აღარ დაახანებენ.

მაშინ, როცა პოეტს ნაღდად ლექსის მუზა დაუვლის (იმ კაცს შარვლის ორივ ტოტზე ნითლად კანტი დაუდის), საქმეს ისე მოუვლიან, სხვას არ დაანახვებენ, თქმა არ უნდა, დამქაშებსაც ნაღდად გაახარებენ.

პოეზია სევდის ზღვაა, ქებაა და... ქვეყანა, ქვეყანა ჭირგადავლილი, ცრემლმორწყული ყველგანა, სიტყვაც არის გამართული, ჯერ არ თქმულიც, ყოველი, პოეტი კი ოსტატია რითმის ბადის მქსოველი.

ნომრის სტუმარია 169-ე ბაგა-ბაღი

დაუპიწყარი დღეები პატარებისთვის



თბილისის 169-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთი დიდი და მრავალრიცხოვანი საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც მუდამ მალალ შედეგებზე ორიენტირებული...

488 აღსაზრდელია. როგორც ყველა სახელმწიფო ბაღში, ჩვენიც სასწავლო სააღმზრდელო პროცესი დაიწყო 4 ოქტომბერს...

ჩემი კოლექტივის სახელით დიდ მადლობას ვუხდით სააგენტოს ხელმძღვანელს კახაბერ გვანცელაძეს და ქალაქის მერს კახა კალაძეს...

ბ.ზონიანსკი. მ.თურმანიძე. ს ა ქ მ ი ს მწარმოებლები 6 ი ნ ო სახელაშვილი, ლალი ნიაური. შ ე ქ ე ბ ა ს ი მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ნ ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი ს თ ა ნ ა შ ე ე მ წ ე ე ბ ი , მ რ ე ც ხ ა ე ბ ი და ჯ გ უ ფ ი ს დ ა მ ლ ა გ ე ბ ლ ე ბ ი .



გეგმას. მუშაობაში ჩართულები არიან: ფსიქოლოგი ნათია საცერაძე, ლოგოპედი ნათია ფოლადაშვილი, სპეც.პედაგოგები: მარი ქალიაშვილი, ანა ჯოგლიძე და ქეთევან ჯავახიშვილი.



მერი ტყეშელაშვილი: 169-ე ბაგა-ბაღში სულ 13 ჯგუფია და



დასამუშავებელი ანტისეპტიკური ხსნარის დისპენსერები, ასევე, დეზობარიერი, რომელიც ყოველ 2 საათში მუშავდება სპეციალური ხსნარით...

ბავშვის ნორმალურ აღზრდა-განვითარებაზე. სააღმზრდელო პროცესში ასევე, აქტიურად არიან ჩართულები: მოადგილე ნინო ჯანიკაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი თინათინ აბრამიშვილი...

„სასკოლო მზაობა“-ის ჯგუფები კი, ჩართულები არიან რამდენიმე აქტივობებში, დღის განმავლობაში გეგმავენ სხვადასხვა ტიპის თამაშებს, იცავენ დისტანციას.

სახვითი ხელოვნების დროს თითოეულ აღსაზრდელს აქვს ინდივიდუალური სამუშაო მასალა. ჯგუფებში ტარდება მოძრავი და მუსიკალური აქტივობები. პედაგოგები ხელმძღვანელობენ სახლი მეთოდური სახელმძღვანელოთი „ადრეული განათლების კურსკულუმი თამაში“.

ანანო სამელია



166-ე სკოლაში ცხოვრება

ეს სასწავლო წელი მძიმე გამოდგა



ქვეყანაში შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, თბილისის 166-ე საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ომანაძე) სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში დაიწყო.

ლემა. შესაბამისად, მასწავლებლები ეფექტურად წარმართავენ დისტანციურ გაკვეთილებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ ორმაგი დატვირთვით უწევთ მუშაობა - სასკოლო გარემოში ატარებენ როგორც დასწრებითი სწავლების გაკვეთილებს, ასევე დისტანციურ გაკვეთილებსაც.

ენის უფროსი მასწავლებელი მაკა ჭიაბერაშვილი, მათემატიკის ნაწყვენი მასწავლებელი ქეთევან ვერულაშვილი და მუსიკის ნამყვანი მასწავლებელი ნინო როსტომაშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგები არიან.

ვიდობენ. 110 პირველკლასელი კი ამ პედაგოგებმა უჩვეულო გარემოში, ინდივიდუალურად, დისტანციის დაცვით შემოაბრძანეს სკოლაში.



სკოლა ჩართულია პროექტში - ახალი სკოლის მოდელი, რომლის ფარგლებშიც დაწყებით და საბაზო საფეხურზე საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს უახლესი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწესება.

ამჟამად, სკოლაში სწავლება დასრულებულია რეჟიმში მიმდინარეობს. თუმცა, ნოემბრის თვეში, საშუალო საფეხურის რამდენიმე კლასმა აირჩია სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა.



დან 16 ნამყვანი, 69 უფროსი და 4 პრაქტიკოსია. მათ შორის, გალინა ქადაგიშვილი ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო ნინო როსტომაშვილი - მუსიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების თანაავტორი.

დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს საგნობრივი სწავლება და მესამე კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეები „პირველ მასწავლებლებს“ - ირმა ასანიძეს, ნანა ანდრიაძეს, მაია ლასხიშვილსა და თამარ შეყლაშვილს დაემშ-

ტეფნაძემ, თამარ ცერცვაძემ, მია ბუზარიაშვილმა (ოქრო); სალომე აქირთავა, მარიამ ლარიბაშვილი, მედია ამალიბეგი (ვერცხლი). სკოლის ქართული ენის მასწავლებელი დალი ჭიქიძე და მათემატიკის მასწავლებელი ნანა გურგენიძე დაჯილდოვდნენ დიპლომებით მათი მოსწავლეების კინგსის ოლიმპიადამი წარმატებული მონაწილეობისთვის.

ნათია გუზუნაძე

„ლიტერატურული საქართველო“ — 90

გილოცავთ სახელოვან იუბილეს!

ოთხმოცდაათი წელია, „ახალ გრიგალებს სწირავთ სიცოცხლეს!“ არასოდეს გქონიათ დაღვინებული ცხოვრება. დღეს ზოგიერთი ფულით გალაღებული ტელევიზია, რომელთაც არაფერი უკეთებათ ვლადილ-ჭყავილისა და სხვის წყევლა-გინების გარდა, ტრამპობენ: პირველები ვართო, მთავარი ვართო, რეფორმატორები ვართო.

თქვენ კი ნაყოფიერად, მუშა ფუტკარივით შრომობთ ქართული მწერლობის, კულტურის, ხელოვნების უფრო ასაყვავებლად, ქვეყნის გაძლიერებისათვის.

გვახარებს ისიც, რომ ბატონი თამაზ ნივნივას ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს ეზიარა ქართველი ხალხის უღამაზესი

გაზეთი. არათუ უპირველეს გაზეთად აქციეთ „ლიტერატურული საქართველო“, არამედ თქვენს უმცროს კოლეგებსაც გვეხმარებოდით, როცა თავადაც გიჭირდათ. ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა თქვენ!

გვიხარია, რომ თამაზ ნივნივას მემკვიდრებას ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს – ერუდირებული, დიდი შემოქმედებითი გაქანების რედაქტორი ვანო ამირხანაშვილი.

გაზეთის ყველა თანამშრომელს ახალი სიმალღეების დაპყრობას გისურვებთ. წინ, მეგობრებო!

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია



ჩვენი კეთილი კოლეგა

კომპიუტერი და მისი ძმა მობილური ყველგანაა: ავტობუსში, მეტროში, ქუჩაში, ლოგინში, ტუალეტში. ლამის წერა-კითხვა დაგვაინყოს, რობოტებად გვაქციოს. ვილას ახსოვს გალაკტიონის შეგონება:

„უნდა ავმალღღეთ გარეთ, უნდა გავმაგრდეთ შიგნით, თუ სადმე ნახვალ არედ, ნიგნით და მხოლოდ ნიგნით.“

ნიგნს ვერასოდეს შეცვლის კომპიუტერი, რადგან იგი თავად არის ნიგნის ნაყოფი.

იმ დღეს გახარებული ვარ, როცა სადმე თვალს მოვკრავ, ვილაცას ნიგნი, ჟურნალი ან გაზეთი გადაშლილი აქვს.

მეტრო „ახმეტელის“ წინ ყოველდღე ვხე-

დავ პრესის გამავრცელებელ დარბაისელ ქალბატონს, რომელიც ნუთშესვენებისას მუდამ გაზეთს კითხულობს, თავაზიანად, ღიმილით კლიენტებთანაც ურთიერთობს. ადვილად მიხვდებით, რომ მას კითხვა ბავშვობიდანვე ძალიან ყვარებია.

– მე მედიცინის მუშაკი ვარ, მაგრამ ჟურნალ-გაზეთები ბავშვობიდან მიტაცებდა, – ამბობს ქალბატონი მარინე.

მარინე ბადრიაშვილი სათაურში კეთილ კოლეგად მოვიხსენიეთ. დაახ, ის ჩვენი მეგობარია, ჟურნალ-გაზეთების ნააზრვის ხალხში გამავრცელებელი. გარდა ამისა, გახლავთ დიდი მეოჯახე, დიდი დედა და ბებია.

დიდი მადლობა ამისთვის, ქალბატონო მარინე, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბევრ სიხარულს გისურვებთ!

ბორის მიშველაძე
საქ. დამს. ჟურნალისტი

ტარიელ მუმლაძის სახსოვარი კედაგობი, მწერალი, ჟურნალისტი – მარადისობაში



ამ გაზაფხულს კოვიდ ვირუსმა მარადისობას შეუერთა კაცი კოლორიტი ტარიელ მუმლაძე. ის იყო მრავალმხრივი მოღვაწე კაცური თვისებებით: დიდი პედაგოგი, პოეტი, „ფაზისის“ აკადემიის აკადემიკოსი, 50 წიგნის ავტორი, ჟურნალისტი, გაზეთების რედაქტორი.

ნიჭით, ბეჯითი შრომით დიდ სიმალღეებს მიაღწია: იყო მათემატიკის ჩინებული პედაგოგი, სოფელ დიღმის სკოლის დირექტორი, თბილისის მე-14 სკოლის დირექტორის მოადგილე, პედაგოგთა დახელოვნების ცენტრისტიტუტის მეთოდისტ-ლექტორი, განათლების სამინისტროს ინსპექტორი, სტუმართმოყვარე, სიყვარულისა და მეგობრობის ტრუბადური.

მე, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, დიდი მოწინებით ვინახავ მის ბრწყინვალე რომანს „ქალი ენგურს გაღმიდან“. არასოდეს დამავინყდება ასევე დიდი პედაგოგის რიმა როკეტლიშვილის სალონში პედაგოგების, მწერლების, მხატვრების, მეცნიერების შეხვედრები.

ტარიელ მუმლაძე იყო ას წელს მიღწეული მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლება“-ის გულმხურვალე მეგობარი და ხელხვაგვიანი ავტორი.

ტარიელ მუმლაძე იყო ისეთი დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც არასოდეს ივინყებენ.

გაზეთ „სახალხო განათლება“-ს სახელით
ბორის მიშველაძე

ზაურ ბალაშვილის ხსოვნა დიდი კედაგობიური ოჯახის მამამთავარი



ნახევარი საუკუნე ძმებით ვიყავით. გამოირჩეოდა ილიასული სიღინჯე-სიბრძნით. არასოდეს მინახავს გაავებული. ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ტყუილი. თუ შეგპირდებოდა, უთუოდ შეგისრულებდა, საიმედოდ ამოგიდგებოდა მხარში. ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით გაიკვალა ცხოვრების გზა. მუდამ იყო ბეჯითი, მიზანდასახული, ჩემზე იტყოდა, ცხოვრება ნულიდან დაიწყო. თავადაც ასეთი იყო.

ზაურ ბალაშვილი წითელწყაროს (დღევანდელი დედოფლისწყაროს) სკოლადამთავრებული დედაუნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ცნობილი მეცნიერი გამოვიდა, სახელმძღვანელოებისა და წიგნის ავტორი. ფილოსოფიის დოქტორი, მაშინდელ თბილისის პუშკინის პედაგოგიკის ინსტიტუტში მოღვაწეობდა, სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო, დღესაც სანიმუშოა მათთვის დაწერილი სახელმძღვანელო „ფილოსოფიის შესავალი“. ჩემთვისაც სამაგიდო წიგნია იგი, რაიმე ფილოსოფიური საკითხის განმარტება რომ მჭირდება, გადავშლი.

ერთ დროს ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის რექტორიც იყო. დიდი პედაგოგიური, ზნეკეთილი ოჯახის მამამთავარი გახლავთ - მეუღლე, ლალი კობიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ჩინებული ენათმეცნიერი. დედაუნივერსიტეტის ალზრდილმა, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას საყვარელმა სტუდენტმა დიდხანს ნაყოფიერად იღვანა გორის პედაგოგიკის ინსტიტუტში.

ვაჟიშვილი ზურაბი, პედაგოგიკის დოქტორია, წარმატებით მოღვაწეობს ერთ-ერთ უნივერსიტეტსა და დედაქალაქის 23-ე საჯარო სკოლაში.

ქალიშვილი ცისანა პედაგოგად მუშაობდა. ახლაც წიგნიერი ახალგაზრდობის ალზრდის საქმეს უძღვება. რძალი, მარიამ დუმბაძე ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. შვილიშვილი, მოსწავლე ანა ბალაშვილი, ალბათ, მასწავლებლობაზე ფიქრობს.

ილია იტყოდა: „მკვდრად იგი თქმულა, ვისაცაქ სახელი არ დარჩენია“. ზაურ ბალაშვილს საქებარი სახელიც დარჩა და ძვირფასი მემკვიდრეობაც.

არასოდეს დაგივინყებთ, ბატონო ზაურ, „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.

ბორის მიშველაძე,
საქ. დამსახ. ჟურნალისტი.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მაჭუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N4 (4598)
24 ნოემბერი / 2021 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009